

მენეჯერული ინოვაციის Agile-ის დანერგვასთან დაკავშირებული
მოლოდინები და მიმღებლობა

თინათინ წოტოიძე

მარიამ ლომსაძე

სალომე ჯორბენაძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის
მენეჯმენტი): მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო თანდილაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ წოტოიძე

მარიამ ლომსაძე

სალომე ჯორბენაძე

თარიღი: 25.06.2019

აბსტრაქტი

Agile არის ერთი-ერთი ყველაზე აქტუალური მიდგომა თანამედროვე ბიზნეს სამყაროში, რომელსაც მსოფლიო წამყვანი ორგანიზაციები ნერგავენ და იყენებენ. ნაშრომის მიმართ ინტერესი მდგომარეობს შემდეგში, რომ საქართველოს ბაზარი არ არის გაჯერებული აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვით, შესაბამისად ისეთი ლიტერატურული ნაშრომის მოპოვება, რომელიც აღწერს ადგილობრივ ბაზარზე მოქმედი კომპანიის მაგალითზე, ეჯაილ მეთოდოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებულ მოლოდინებსა და მიმდებლობას საკმაოდ რთულია. მიდგომა არის საინტერესო როგორც დამსაქმებლებისათვის, ასევე დასაქმებულებისათვის.

სამაგისტრო ნაშრომისა და ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის შესწავლა, თუ რა მოლოდინები და მიმდებლობა არის საქართველოს ბაზარზე მენეჯერული ინოვაციის, Agile-ის მიმართ. გამოიკვეთოს როგორც დანერგვის პრაქტიკაში უკვე არსებული, ასევე მოსალოდნელი პრობლემები. შეფასდეს, თუ რამდენად მოქმედებს ინფორმირებულობის დონე სიახლის მიმდებლობაზე. რა სახის დადებითი და უარყოფითი მოლოდინები შეიძლება უძღვოდეს წინ Agile ტრანსფორმაციას. ასევე დაკავშირებულია თუ არა ასაკი და დასაქმების სფერო Agile -ის ცნობადობასთან. მნიშვნელოვანია, რამდენად მოახდენს გავლენას თიბისის Agile ტრანსფორმაცია სხვა კომპანიებში აღნიშნული მეთოდის დანერგვის მოტივაციაზე.

ნაშრომის მსვლელობის პროცესში გამოკვლეული იქნა თიბისი ბანკში დანერგვის პროცესები, ასევე Agile-ის მიმდებლობა და მოლოდინები შემთხვევით შერჩეულ რესპოდენტებთან.

ჩვენი კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდებლობა და მოლოდინები მნიშვნელოვანია Agile მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესში.

საძიებო სიტყვა: Agile, მიმდებლობა, მოლოდინები, ცვლილებები მენეჯმენტი, პროექტის მენეჯმენტი.

Abstract

Agile is an advanced approach in the modern business world, which is used by leading global organizations. The interest in the work lies in the fact that the Georgian market is not conversant with the methodology, so, we found it difficult to obtain any research or study that shows and describes how Agile works on local market, what is the expectations and acceptance or reality. The approach is interesting for both employers and employees.

The purpose of the Master's Thesis and research is to study what expectations and acceptance of the Innovation Management of Agile. existing and possible problems in the process of introduction. Determine how the level of awareness affects on involvement. What kind of positive and negative expectations can be caused by Agile transformation. Also, the age and field of employment are related to Agile awareness. It is really important and interesting how the other companies will be motivated and influenced by TBC Agile transformation to use this advanced methodology in their companies.

In the Thesis, we have studied the process of the introduction, acceptance and expectations in TBC Bank As the research has demonstrated the acceptance and expectations are important in the implementation of Agile Methodology

Key words: Agile, Expectations, Acceptance, Change Management, Project Management.

მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორ ნინო თანდილაშვილს, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია საკლვევი საკითხის ფორმულირებაში, დიზაინსა და მართვაში.

მადლობას ვუხდით თიბისი ბანკს თანამშრომლობისთვის, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თვისებრივი კვლევის ნაწილში.